## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 15/07/18

ქ.თბილისი

1 აგვისტო 2018 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. „შემსყიდველი“: **სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“ (ს/კ: 205307960)**

წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): დირექტორი - ავთანდილ თალაკვაძე

1.2.„მიმწოდებელი“: **შპს „გოლდმედი“ (ს/კ:202455128)**

წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი): დირექტორი - სოფიო ბერეკაშვილი

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ მიერ გადასხმის სისტემებისა და ვენის კათეტერების (შემდგომში „საქონელი“ ან/და „მომსახურება“) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ფასების ცხრილში გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

*ფასების ცხრილი*

| დასახელება | CPV | განზომილება | რაოდენობა | ერთ. ღირებულება | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| სისტემა საინფუზიო ხსნარების გადასხმისთვის (უფილტრო) | 33140000 | ცალი | 2800 | 0,42 | 1176 |
| ვენის კათეტერი #22 პორტით ფრთებით | 33141200 | ცალი | 1000 | 0,4 | 400 |
| | | | | | **1576** |

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს **1576** (ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარს, რაც მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

5.2. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის“ „საქონლის” მიწოდებას დროულად და ხარისხიანად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

5.3. „საქონლის“ ვადაა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, არანაკლებ 12 თვე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

6.1. „საქონელი“ მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების შემდეგ, „შემსყიდველის“ მოთხოვნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

6.2. ხელშეკრულების თანახმად, „საქონლის“ მიწოდების ადგილები მოცემულია დანართ N1-ში , რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.3. „საქონლის“ მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისთვის“ (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

7. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. „საქონელი“ ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების შემდეგ.

7.2. „საქონლის“ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ს გაფორმებას ახორციელებენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ს 3 (სამი) ეგზემპლარად.

7.3. „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია: ცენტრის ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი გოჩა აბულაძე (პ/ნ:21001007954).

**8. ანგარიშსწორების ფორმა და წესი**

8.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი), „მიმწოდებლის“ ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

8.2. ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურისა და მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**9. მხარეთა უფლება–მოვალეობანი**

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

9.1.1. უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისთვის“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

9.1.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე გააფორმოს მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ი.

9.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

9.2.1. „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.2.2. თვითონ ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლად განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება.

9.2.3. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმება.

9.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

9.3.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და ამავე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

9.3.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარუდგინოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

9.3.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

9.3.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს „შემსყიდველს“ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რის შემდეგ მხარეები გააფორმებენ შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ს.

9.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან/და ხელისშემშლელი პირობების შესახებ.

9.3.6. წინამდებარე ხელშეკრულების პერიოდში სუბკონტრაქტების გაფორმების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

9.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

9.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

**10. უფლებების გადაცემა**

10.1.„მიმწოდებელს“ უფლება არ აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ, „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლება–მოვალეობანი.

**11. ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობა**

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს “შემსყიდველი” არ არის ვალდებული წარუდგინოს “მიმწოდებელს” რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

**12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

12.1.ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობითი ფორმით მიაწოდოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, “შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**13. შეტყობინება**

13.1.ნებისმიერი შეტყობინება, მხარეებს გაეგზავნებათ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე.

**14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

14.1.ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე თავის მხრივ დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2.იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

15.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის მხარეები პირგასამტეხლოს სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%–ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.2.პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს მხარის მიერ მეორე მხარისადმი გაგზავნილ შესაბამის წერილში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

15.3.საჯარიმო სანქციების გადახდა „მხარეებს" არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4.იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელზე" დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს „ხელშეკრულების" ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს „ხელშეკრულება" და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" შესაბამისი ზარალის ანაზღაურება.

15.5.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**16. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა**

16.1.მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

16.2.ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 1 (ერთი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, მითითებული უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი მოქმედების ვადა.

16.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4.მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს, თუ ხელშეკრულებით ან/და მხარეთა შორის წერილობით გაფორმებული შეთანხმებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

**17. ფორს–მაჟორი**

17.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

17.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

17.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

17.4.მხარე რომლესაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**18. დავების გადაწყვეტის წესი**

18.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს მოლაპარაკების საფუძველზე.

18.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**19. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

19.1.„შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს, უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

19.2.ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის" მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი .

19.3.ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

19.4.„შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის, რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

19.5.„მიმწოდებელი" ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების განმახორციელებელ პირ(ებ)ს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

**20. დასკვნითი დებულებანი**

20.1.მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

20.2.ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

20.3.მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

20.4.ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

20.5.ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

20.6.ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

20.7.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ერთი – „მიმწოდებელთან".

**21. მხარეთა რეკვიზიტები:**

**"შემსყიდველი"**
**სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა**
**და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"**
ს/კ: 205307960
იურიდიული მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144
ფაქტიური მისამართი:
ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. #117
დაფინანსების წყარო:
საკუთარი შემოსავლები;
საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
შიდა ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი - 350303070[illegible]

*ავთანდილ თალაკვაძე*

**„მიმწოდებელი"**
**შპს „გოლდმედი"**
ს/კ: 202455128
იურიდიული მისამართი:
საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ლუბლიანას ქ., N 2/6 (ნაკვ. 009/013), სარდაფი შენობა-ნაგებობა, №23, №24, №26
საბანკო რეკვიზიტები:
სს „პროკრედიტ ბანკი"
B/K: MIBGGE22
ა/ა GE04PC0313600100005028

*სოფიო ფერეკაშვილი*

**ვიზირებულია:**

გ. ტარუღიშვილი _____

ა. შეყილაძე _____

გ. ხახუბია _____

ვ. ჭანიშვილი _____

გ. აბულაძე _____

ა. გოგიტიძე _____

გ. თოფურია _____

**შემსრულებელი:**

რ. სახელაშვილი _____

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 15/07/18 ხელშეკრულების

დანართი N1

„საქონლის“ მიწოდების ადგილებია :

1 აბაშა თავისუფლების ქუჩა 143
2 ადიგენი ბალახაშვილის ქუჩა N11
3 ამბროლაური ბრატისლავა-რაჭის ქუჩა 11
4 ასპინძა ვარძიის ქუჩა 75
5 ახალგორი წეროვანის დევნილთა დასახლება მე-13 რიგი
6 ახალქალაქი დ.აღმაშენებლის მე-2 კმ
7 ახალციხე ახალქალაქის გზატკეცილი
8 ახმეტა რუსთაველის ქუჩა შესახვევი 1
9 ბაღდათი კახიანის ქუჩა N84
10 ბოლნისი დ.აღმაშენებლის ქუჩა N25
11 ბორჯომი სააკაძის ქუჩა N2
12 გარდაბანი აღმაშენებლის ქუჩა N27
13 გორი სუხიშვილის N10
14 გურჯაანი კოსტავას ქუჩა N26
15 დედოფლისწყარო ჰერეთის ქუჩა N22
16 დმანისი ნანა დედოფლის ქუჩა N9
17 დუშეთი სტალინის ქუჩა N71
18 ვანი თავისუფლების ქუჩა N111
19 ზესტაფონი ფარნავაზის ქუჩა N2
20 ზუგდიდი გამსახურდიას ქუჩა 206
21 თეთრიწყარო რუსთაველის ქუჩა
22 თელავი სეხნიაშვილის ქ. N1
23 თერჯოლა რუსთაველის ქუჩა N69
24 თიანეთი რუსთაველის ქუჩა N75
25 კასპი სააკაძის ქუჩა N110
26 სოფ. კოდა
27 ლაგოდეხი ჯანელიძის ქუჩა N1
28 ლანჩხუთი ჭანტურიას ქუჩა N21
29 ლენტეხი ჯ. მეშველიანის ქუჩა N4/სტალინის ქუჩა
30 მარნეული ოცდაექვსი მაისის ქუჩა N80
31 მარტვილი მშვიდობის ქუჩა N111
32 მესტია გაბლიანის ქუჩა N13
33 მცხეთა ღვინჯილიას ქუჩა N5
34 ნინოწმინდა ჭავჭავაძის 24
35 ოზურგეთი გიორგაძის ქუჩა N7
36 ონი ვახტანგ მეექვსის ქუჩა N10
37 რუსთავი დუმბაძის ქუჩა N1
38 საგარეჯო კახეთის გზატკეცილი N13
39 სამტრედია რესპუბლიკის ქუჩა N74
40 საჩხერე სოფელი სხვიტორი ივანე გომართელის N17
41 სენაკი ტ.ტაბიძის ქუჩა N71
42 წნორი ბაგრატიონის ქუჩა N12
43 ტყიბული თაბუკაშვილის ქუჩა N10
44 ფოთი ლოლუას ქუჩა N 8
45 ქარელი ვარძელაშვილის ქუჩა N24
46 ქედა ოცდაექვსი მაისის ქუჩა N2
47 ქობულეთი აბაშიძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ
48 ქუთაისი ბუხაიძის ქუჩა N12
49 ქურთა წეროვანის დევნილთა დასახლება მე-13 რიგი
50 სტეფანწმინდა ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N35
51 ყვარელი ჭავჭავაძის ქუჩა N21
52 შუახევი რუსთაველის N32
53 ჩოხატაური დუმბაძის ქუჩა N64
54 ჩხოროწყუ აღმაშენებლის ქუჩა N 19
55 ცაგერი რუსთაველის ქუჩა N31
56 წალენჯიხა ჭურღულიას ქუჩა N6
57 წალკა ექვთიმე თაყაიშვილის N4
58 წყალტუბო სოფელი ხომული ერისთავის ქუჩის გაგრძელება N16
59 ჭიათურა საჩხერის გზატკეცილი
60 ხარაგაული სოლომონ მეფის N23
61 ხაშური ფარნავაზის ქუჩა N4
62 ხობი ჭყონდიდელის ქუჩა N2
63 ხონი სოლომონ მეორის ქუჩა 21
64 ხულო აღმაშენებლის ქუჩა N6
65 ჯვარი გაბუნიას ქუჩა

| | |
|---|---|
| "შემსყიდველი" | „მიმწოდებელი“ |
| სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა | შპს „გოლდმედი“ |
| და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“ | ს/კ: 202455128 |
| ს/კ: 205307960 | |
| *ავთანდილ თალაკვაძე* | *სოფიო ბერეკაშვილი* |